ტყიბული

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ქ. ტყიბული **28 თებერვალი, 2018 წ.**

ოქმი N 1

2018 წლის 28 თებერვალს ქ. ტყიბულში, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართა ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს პირველი შეხვედრა.

სხდომას ესწრებოდა 15 ადამიანი.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები:

1. შოთა ჯინჯიხაძე - ს.ს.ი.პ. „ქ. ტყიბულის №6 საჯარო სკოლის" დირექტორი - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე;
2. ზაზა გოჩელაშვილი - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. იური ელიაშვილი - ს.ს. „სამედიცინო კორპორაცია ევექსის" ტყიბულის ჰოსპიტლის დირექტორი - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი;
4. თამარ ცქიფურიშვილი - ს.ს. „სამედიცინო კორპორაცია ევექსის" ტყიბულის ჰოსპიტლის ექიმი - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი;
5. ემილია გაბრიაძე-კაკაბაძე - ა.(ა)ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების" დირექტორი - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი;
6. ნიკა წიქრიძე - საქართველოს პარლამენტის წევრის, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი;
7. ირინე ბერეკაშვილი - ს.ს.ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ორპირის საჯარო სკოლის" დირექტორი - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი;
8. მერაბ კეზევაძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გელათის მცხოვრები, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ქუთაისის ცენტრალური არქივის დირექტორი - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი;
9. ბორის გაბრიაძე - ა.(ა)ი.პ. „მეშახტეთა შრომის დიდების საქველმოქმედო ფონდის" დირექტორი - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი თემურ ჩუბინიძე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი ოლეგი ქარქაშაძე, შ.პ.ს.

„საქნახშირი ჯი აი ჯი ჯგუფისა“ და ა.(ა)ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის“ წარმომადგენლები.

სხდომა წარიმართა შემდეგი დღის წესრიგით:

1. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შესახებ (მომხსენებლები: თემურ ჩუბინიძე, შოთა ჯინჯიხაძე, ზაზა გოჩელაშვილი);

2. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივნის არჩევის შესახებ (შოთა ჯინჯიხაძე);

3. ტყიბულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო იურიდიულ პირებში სტრუქტურული რეორგანიზაციის შესახებ (მომხსენებლები: თემურ ჩუბინიძე, ოლეგი ქარქაშაძე);

4. ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დაგეგმილი სტრუქტურული რეორგანიზაციის პროცესის შესახებ (მომხსენებელი ემილია გაბრიაძე-კაკაბაძე);

5. სხვა მიმდინარე საკითხები.

დღის წესრიგით განსაზღვრულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, შეხვედრა გახსნა ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა თემურ ჩუბინიძემ, მან მოკლედ მიმოიხილა მრჩეველთა საბჭოს დანიშნულება, მისი ჩამოყალიბების მნიშვნელობა. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებს საბჭოს დებულება გააცნო ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწემ ზაზა გოჩელაშვილმა. მან ისაუბრა მრჩეველთა საბჭოს მიზნებსა და ამოცანებზე, მისი საქმიანობის სტრუქტურასა და ძირითად პრინციპებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შოთა ჯინჯიხაძემ და საბჭოს წევრებმა მერაბ კეზევაძემ, ირინე ბერეკაშვილმა, იური ელიაშვილმა და სხვებმა გამოთქვეს აზრი საბჭოს ჩამოყალიბების მნიშვნელობასთან დაკავშირებით. მათ გამოხატეს სრული მზადყოფნა, აქტიურად ჩაერთონ საბჭოს საქმიანობაში და იზრუნონ საბჭოს, როგორც ქმედითი და ეფექტური მექანიზმის ჩამოყალიბების აუცილებლობასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა ნიკა წიქრიძემ საბჭოს წარმოუდგინა რეკომენდაციები საბჭოს დეულებაში ცვლილებებთან დაკავშირებით. მისი აზრით, აუცილებელია დებულებაში კიდევ უფრო მკაფიოდ იყოს გაწერილი საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციები, საბჭოს წევრების მხრიდან ახალი საკითხების ინიცირების, საჯარო ინფორმაციის უპირატესი მიღებისა და საბჭოს წევრობის დატოვების მექანიზმები. საბჭოს წევრები დაეთანხმნენ გამოთქმულ შენიშვნებს და ეთხოვა მუნიციპალიტეტის მერს, ცვლილებები იქნას შეტანილი საბჭოს დებულებაში.

დღის წესრიგით განსაზღვრულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარემ, შოთა ჯინჯიხაძემ საბჭოს მდივნის პოზიციაზე საბჭოს წარუდგინა საბჭოს წევრის, სამედიცინო კორპორაცია „ევექსის“ ტყიბულის ჰოსპიტლის ექიმის, თამარ ცქიფურიშვილის კანდიდატურა. საბჭოს მიერ თამარ ცქიფურიშვილის კანდიდატურა დამტკიცებული იქნა ერთხმად.

დღის წესრიგით განსაზღვრულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო იურიდიულ პირებში დაგეგმილ სტრუქტურული რეორგანიზაციის პროცესის შესახებ, საბჭოს ინფორმაცია წარმოუდგინეს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა თემურ ჩუბინიძემ და მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსმა ოლეგი ქარქაშაძემ. მათ ისაუბრეს, რომ დაგეგმილია სპორტისა და კულტურის

მიმართულებების არასამეწარმეო იურიდიული პირების რეორგანიზაცია, მათი შერწყმის გზით და სფეროების მიხედვით 12 იურიდიული პირის ნაცვლად 2 იურიდიული პირის ჩამოყალიბება. რეორგანიზაციის შედეგად დაგეგმილია სპორტის მიმართულების არასამეწარმეო იურიდიული პირების შერწყმა ა.(ა)ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის", კულტურის მიმართულებით ა.(ა)ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტის კულტურის ობიექტების გაერთიანების" ბაზებზე. რეორგანიზაციის პროცესის მიზანია არასამეწარმეო პირების მიერ განხორციელებული საქმიანობის ადმინისტრირების პროცესის, დასაქმებულ პირთა შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი ანაზღაურების მატება. პროცესის საბოლოო მიზანია, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს მუნიციპალიტეტის მიერ მოსახლეობისათვის სპორტისა და კულტურის სფეროებში მიწოდებული მომსახურების ხარისხი.

საბჭოს წევრების აზრით მნიშვნელოვანია არასამეწარმეო იურიდიული პირების სტრუქტურული რეორგანიზაციის პროცესი წარიმართოს მაქსიმალურად გამჭვირვალედ და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. ისინი მიესალმნენ პროცესის დაწყებას და აღნიშნეს, რომ მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან მათთვის მიწოდებული დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე, თავიანთ რეკომენდაციებს აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტს წარმოუდგენენ მიმდინარე წლის 10 მარტისათვის.

დღის წესრიგით განსაზღვრულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით საბჭოს ინფორმაცია წარმოუდგინა საბჭოს წევრმა ემილია გაბრიაძე-კაკაბაძემ. სკოლამდელი აღზრდის სეფროსთან დაკავშირებით კანონმდებლობით განსაზღვრული ახალი რეგულაციებიდან გამომდინარე, განსახორციელებელია სფეროს სტრუქტურული რეორგანიზაცია, ბენეფიციართა მომსახურების ახალი სტანდარტები მიღება და სხვა.

საბჭოს წევრებმა გამოთქვეს აზრი, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლამდელ აღზრდას მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, როგორც მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთ ყველაზე პრიორიტეტულ მიმართულებას. ამ მიმართულებით ჩამოყალიბდეს სფეროს განვითარების სტრატეგია, რომლის შემუშავების პროცესშიც ისინი აქტიურად ჩაერთვებიან.

შეხვედრის ბოლოს მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ საბჭოს მომდევნო სხდომისათვის განსახილველ დოკუმენტებზე მომზადებულ რეკომენდაციებთან ერთად საბჭოს წარმოუდგინენ საკუთარ წინადადებებს მუნიციპალიტეტის შემდგომი განვითარების გზებისა და განსახორციელებელი პროექტების შესახებ.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა საბჭოს წინაშე დააყენა წინადადება, რომ მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის გაცნობის მიზნით, საბჭოს შემდეგ სხდომაზე მოსმენილი იქნას მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და სოციალური სამსახურების ინფორმაციები დაგეგმილ პროექტებთან დაკავშირებით. საბჭოს წევრების მიერ მიღებული წინადადება მოწონებული იქნა და მას ერთხმად დაუჭირეს მხარი.

საბჭომ დაადგინა:

ტყიბული

1. მიეცეს რეკომენდაცია ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერს, საბჭოს წევრების მიერ საბჭოს დებულებაში შესატანი ცვლილებებისა და საბჭოს მდივნის არჩევასთან დაკავშირებით, მომზადებული იქნას შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

2. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, მომზადებული იქნას საბჭოს სარეკომენდაციო წინადადებები ტყიბულის მუნიციპალიტეტის სპორტისა და კულტურის სფეროებში არსებული არასამეწარმეო იურიდიული პირების სტრუქტურული რეორგანიზაციის პროცესის შესახებ;

3. ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სტრუქტურული რეორგანიზაციის პროცესის დაწყების მიზნით, საბჭომ დაიწყოს მუშაობა ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სფეროს განვითარების სტრატეგიის ჩამოყალიბებაზე. მიეცეს რეკომენდაცია ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერს, აღნიშნული პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით.

4. დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებს, 2018 წლის 10 მარტამდე, საბჭოს წარმოუდგინონ საკუთარი წინადადებები საბჭოს მეორე სხდომის დღის წესრიგით განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

შოთა ჯინჯიხაძე
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

თამარ ცქიფურიშვილი
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი